ТИФЛИСЪ. Цхнетск. ул. № 1.
С. М. Кикнадзе

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამშობლო

კვირა,
20 დეკემბერი
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 246 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 246

ტელეფონი № 76. | ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“


## მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ქ. ქუთაისი ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ ქ. ქუთაისი

# „სამშობლო“-ზე

## გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

ითანამშრომლებენ ეროვნულ დემოკრატიული მიმართულების საუკეთესო ძალები

რადგან ამ დღეებში ქაღალდის ფასმა კიდევ მოიმატა წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მან. ნახევარი წლით 5 მან., სამი თვით 2 მან. და 40 კ. თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კაპ. დამატებით 7 კაპ. პროვინციაში თვიურათ დაკვეთა არ შეიძლება, ადგილობრივ კი თვიურათ დაკვეთა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვში.
ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს—4 მან., პირველ ივლისს—3 მანეთი და ენკენისთვეში 2 მან.

სოფლის მოამბეებს დასტამბულ კორესპონდენციაში მიეცემათ სასყიდელი.
წერილები უნდა იწერებოდეს ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვეულისა და სუფთა ხელით.
დაწუნებულ წერილმან წერილებსა და ლექსებს რედაქცია არ შეინახავს და არც კისრულობს არავითარ მიწერ-მოწერას მათ შესახებ.
რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე.



ორშაბათს, 21 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე,
ქართულ გიმნაზიის შენობაში გაიმართება
ლიტერატურულ - მუსიკალურ - ვოკალური
## საღამო
ამავე გიმნაზიის ღარიბეს მოწაფეთა სასარგებლოთ.

1915 წ.
დეკემბერი
19 და 20
შაბათი და კვირა

„ქართული დრამა“. № 31—32
ქალაქის თეატრი.
დანიშნულია წარმოდგენა საღამოს 8 საათზე
ორჯერ ზედი-ზედ ახალი ისტორიული პიესა
## გიორგი მესამე
4 მოქმ.
ავტორი: თ-დი გიორგი შარვაშიძე
დამზადებულია ახალი ტანთსაცმელი, მუტაფორია და რეკვიზიტი,
რის გამოც ადგილების ფასი მომატებულია
მონაწილეობს მთელი დასი
რეჟისორი შალვა დადიანი.
ადმინისტრაცია „ქართული დრამის“ ამხ-სა. 3—3

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა
## „რუსეთი“ („როსსია“),
სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.
პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26.
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.
თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოების დავით სიმონის ძე ღოღობერიძე.

დოკტორი მედიცინისა პრივატ-დოცენტი
## ვ. პ. მოსეშვილი
მიიღებს შინაგანი და ნერვების ავათმყოფობებით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 ს. და საღამოს 6 ს. 8 ს.
გოსპიტლის ქუჩა, № 6. თ.

გაბრიელ იოსების ძე
## ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.
ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

## ექიმი მულინი
ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

## კბილის ექიმი რ. პ. სვანაძის ასული
მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.
თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

მასაჟით სამკურნალო **კაბინეთი**
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძისსახლი. თ

## ექიმი ა. მ. ასათიანი.
განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქუჩის კუთხე, სახ. № 3. თ.

## ექიმი ი. ჩარქვიანი
ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგაშვილის სახლში. (თ.)

ელექტრო **„რადიუმი“** თეატრი
ორშაბათიდან, 21 დეკემბრიდან მხოლოდ სამი დღით დიდებული მხატრული პროგრამა.
განსაკუთრებით მოზრდილთათვის.
## შურის მაძიებელი.
დრამა 4 ნაწ. არციბაშევის მოთხრობიდან, მსახიობების: მურატოვისა და სპერანსკის მონაწილეობით.
ხივა და ხიველები. სანახაობა.
სასიძო შეცდომით
კომიკური სურათი. მოსწავლეებს და ბავშებს ამ სურათებზე არ დაუშვებენ.
ფასი ჩვეულებრივია.

## ექიმი გ. დ. ნასარიძე
შინაგანი, ნერვებისა და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. დორთქიფანიძის სახლი. თვ.


## უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.

**პეტროგრადი.** 17 დეკემბერი. ოფიციალური. გერმანელების ჯავშნოსანი ავტომობილი მოუახლოვდა ჩვენს თხრილებს ბაუსკის გზასთან, მაგრამ სროლით უკუვაქციეთ. რიგის რაიონის მთელის ბრძოლის პირით სროლაა, მეტადრე მკაცრი სროლაა იკსკულის ხიდის საფარ სანგრებთან. ბევრს ალაგას ჩვენი არტილერია მარჯვედ მოქმედებდა. ბრძოლის პირის დანარჩენ ადგილებით ვიდრე, მდ. პრიპიატამდე, ჩვეულებრივი სროლაა ზარბაზნებითა და თოფებით. პრიპიატის სამხრეთით ბრძოლა კვლავ სწა მოებს.

### კავკასიის ასპარეზი.

ზღვის პირით და ახ-დალის მთის დასავლეთით, თორთუმის ტბის რაიონში, სროლით შევაჩერეთ ოსმალების მუშაობა სიმაგრეების აგებისათვის.

——

დანარჩენი დეპეშები იხილე მეოთხე გვერდზე

## ომის ამბები.

(ქურნალ გაზეთებიდან)

ამ ბოლო დღეებში ქალ. რიგაში მახლობელ პოზიციებიდან ზარბაზნების ხმა კარგათ ისმის. ივსკულისა და კეკაუსის რაიონებში მთელი დღის განმავლობაში ჩვენი არტილერიის ძლიერი ხმა ქალაქს აზანზარებდა. აქ ჩვენმა ბატარეიამ მარჯვეთ გაავითარა ცეცხლი გერმანელების თხრილების წინააღმდეგ.

——

რიგის ფრონტზე გერმანელების ბანაკში ყოველდღე ავარჯიშებენ სათადარიგო ჯარისკაცებს, რომელნიც ახლახან მოიყვანეს გერმანიიდან.

——

კოპენჰაგენიდან იუწყებიან გერმანელების სამხედრო ფლოტის გაძლიერებულ მოქმედების შესახებ დანიის სრუტეებში. უკანასკნელ დღეებში გერმანელების კრეისერები შენიშნულ იქნენ არა მარტო ზუნდში, არამედ მცირე ბელტაშიც, სადაც იგინი დაინახეს სინათლე ჩამქრალი და მიმავალი კუნძულ ალოზენისკენ. გერმანელების ნაღმოსნები ამავე დროს შინჯავენ სავაჭრო გემებს კატეგატეში.

——

ავსტრო-გერმანელები ბუკოვინას ამაგრებენ და ამ რაიონში თავის ჯარს აგროვებენ.

——

ამ დღეებში სოფიაში თათბირი მოხდა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნ[ენ] რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიო ომი.

კავკასიის ასპარეზით, როგორც ჩანს, მოქმედება გამოცოცხლდა და ოსმალონი უკვე თავდარიგს შესდგომიან. ისინი პოზიციებს ამაგრებენ ახდაგის მთების მახლობლათ. მაგრამ რუსის ჯარს ამ მუშაობისთვის ხელი არ შეუშლია. დეპეშებიდან არა სჩანს, გარეკეს თუ არა აქედან ოსმალონი.

რუსეთის ასპარეზზე სამხრეთის რაიონში სასტიკი ბრძოლები გრძელდება. ასეთი ლაკონიურია ოფიციალური დეპეშის სიტყვები მაგრამ შეიძლება ამ ორიოდე სიტყვას დიდი მნიშვნელობა ქონდეს. შეიძლება აქ გაჩაღდეს ის გადამჭრელი ბრძოლა, რომლის დაწყებასაც ამდენი ხანია ლამობენ გერმანელები. ყოველისფერი დამოკიდებულია რუმინიაზე. თუ რუმინია ოთხთა შეთანხმების მიმხრობას აპირებს, მაშინ, შეიძლება, ამ რაიონში გერმანია მხოლოთ დემონსტრაციას ახდენდეს, თუ რუმინია „თავის ნეიტრალიტეტს" დაიცავს, მაშინ უნდა ველოდეთ, რომ ამ რაიონში გერმანია ფართო ოპერაციის დაწყებას არ მოერიდება და შეეცდება რუსის ჯარი გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაითრიოს.

ამავე დროს საარტილერიო ბრძოლა გაძლიერდა ჩრდილო რაიონშიაც. განსაკუთრებით მკაცრი საარტილერიო ბრძოლაა იქსიკულთან. ამას, რასაკვირველია, მჭიდრო კავშირი აქვს სამხრეთის რაიონის ოპერაციებთან და ერთხელ კიდევ ცხადყოფს გერმანელთა ნაცად გეგმას: სხვა და სხვა ადგილას გასინჯონ მოპირდაპირის ძალა და სადაც უფრო ხელსაყრელი იქნება, იქ ჩაითრიონ ბრძოლაში.

დასავლეთის ასპარეზზე ჩვეულებრივი სროლაა. ფრანგებმა ვოგეზებში დაიპყრეს გერმანელთა რამდენიმე სანგარი და რამოდენიმე ასეული კაცი ტყვეთ წამოიყვანეს.

ძნელია ვიფიქროთ, რომ აქ ფრანგებმა დიდი რამე მოქმედებას მიმართონ, და შეტევა დაიწყონ იმ აზრით, რომ გერმანელთა ხაზი სადმე გაარღვიონ.

ბალკანეთში ჩერნოგორელებმა მოიგერიეს ავსტრიელთა იერიშები მდ. ტარაზე და ლოვჩენის ფრონტზე.

---

დოსლოვოვი, ოსმალეთის, ავსტრიისა და გერმანეთის ელჩი. თათბირი შეეხებოდა სალონიკისკენ გალაშქრების საკითხს.

——

ავსტრიის ჯარმა, რომელიც ნოვო ბაზარში მოქმედებდა, დიდი ზარალი ნახა და სამხედრო ოპერაციები დროებით შეაჩერა.

——

გერმანელების მოთხოვნით, ბულგარეთი სალონიკის საწინააღმდეგო ოპერაციაში მონაწილეობის მიღებაზე დასთანხმდა.

——

ბულგარეთი დაჰპირდა საბერძნეთს კომპენსაციას, თუ უკეთუ უკანასკნელი დასთანხმდება თვის ტერიტორიაზე ბულგარეთის ჯარის გადასვლას საბერძნეთმა ეს წინადადება უარყო.

ჰაგიდან ცნობაა—მილიარდერმა კარნეგიმ ბელგიის სასარგებლოთ 60 მილიონი ფრანკი გადაგზავნაო.

——

მოკავშირეებს სალონიკში 220,000 ჯარისკაცი ყავთ.

——

ოსმალებს თავისი ჯარი ბულგარეთიდან გაყავთ.

თეირანში თანდათან იკრიბებიან გადარჩენილი მეამბოხენი. რუსის ჯარის შეტევამ მეამბოხეთა მეთაურები ისე დააფრთხო, რომ ვერაფერი ვ'დარ მოახერხეს. როგორც ქალაქ თეირანში გავრცელებულია ხმა, რუსის ჯარი კუმში არ შეჩერებულა. იგი მტერს ენერგიულათ სდევნის.

კაშინიდან ისპაჰანში საჩქაროთ გაიქცა ისლამისათვის მებრძოლი კომიტეტი, რომელშიც ამ ჟამათ მ.ოლოდ 14 კაციდა დარჩა. კომიტეტის ხელმძღვანელათ არიან სოლეიმან მირზა, სოლეიმან ხანი, მაჰომედ ალი ხანი, ნეიდ რიზა მაჰმედ და ვეხიდულ მულკი. დანარჩენმა ცხრა დეპუტატმა უარი განაცხადა თეირანში დაბრუნებაზე. როგორც სჩანს, ეხლა ნანობენ თავის შეცდომას და სთხოვენ მთავრობას პატიებას.

——

„არბაიტერ ცეიტუნგის" ცნობით, ვენაში მოხდა კონფერენცია რეიხსტაგის სოც. დემოკრატიული ფრაქციისა. დეპუტატმა ადლერმა გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა, რომ აწი ომის განგძრობა უმიზნო იქნება, რადგანაც იგი დიდ მსხვერპლს თხოულობს, რომელიც სალხისგან არ შეუძლია გაიღოს. ამასთანავე სამშობლოს საზღვრები უზრუნველ ყოფილიაო.

ფრაქციამ რეზოლუცია გამოიტანა, რომლითაც იმედი გამოსთქვა, რომ ახლო მომავალში ზავის მოთხოვის სურვილი უფრო რეალ ფორმებში გამოიხატებაო.

# ი. ნ. ხვოსტოვის პოლიტიკა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ა. ნ. ხვოსტოვმა 8 დეკემბერს პეტროგრადის პრესის წარმომადგენლებთან ისაუბრა და თავის პოლიტიკა შემდეგი დებულებებით დაახასიათა:

**სახელმწიფო დუმის მოწვევა**, სთქვა მან უმთავრესათ საბიუჯეტო კომისიის მუშაობის დამთავრებაზეა დამოკიდებული; დუმას მაშინ მოიწვევენ, როცა ხსენებულ კომისიას საბიუჯეტო ანგარიში და მოხსენებები მზათ ექნება. რაც შეეხება დუმის **სხდომების ხასიათს**, იგი, მინისტრის აზრით, უნდა იქნეს პოლიტიკას მოკლებული. ყველა სადაო პოლიტიკური კითხვების გარკვევა-გადაწყვეტას ომის დამთავრების შემდეგ უნდა შეუდგეთ. მანამ კი დუმის სხდომები, თუ ვინაცობა სადაო პოლიტიკურ კითხვას შეეხება, დახურული იქნება.

დღეს პოლიტიკის დრო და თავი არა გვაქვსო, განაცხადა მინისტრმა. ახლა ყოველგვარი შინაური უთანხმოება მივიწყებული უნდა იქნას, რომ ომი განვაგრძოთ. ომის დაბოლოვების ვადის დადება არ შეიძლება, რადგან თვითონ ხალხს სწყურია მისი განგრძობაო. დღევანდელი მომენტი, მინისტრის აზრით, იმით ხასიათდება, რომ რუსეთის მცხოვრებთ დღეს ომის განგრძობა უნდათ და სწყურიათ. იბრძოლონ მინამდი ვიდრე რუსეთი თავის საწადელს არ მიაღწევს.

როგორც ხედავთ, ხვოსტოვის აზრი ძალიან უახლოვდება კადეტების აზრს და მისწრაფებას და იმავე დროს იგი „სამშობლოს დაცვის" პოლიტიკასაც შეიცავს. ქვევით მინისტრი **შინაურ ომის** საკითხსაც შეეხო და ის აზრი გამოსთქვა, რომ „მთავრობის სიმტკიცე და სიმაგრე აუცილებლათ საჭიროა არა მარტო ექსცესების არეულობის ჩანასახშივე ჩასაკლავათ არამედ იმისთვისაც, რომ ასეთი რამე წინდაწინვე [თავიდან] აშორებულ იქნას. აი მხოლოდ ამ მოსაზრებით შევიქენი იძულებული, რომ „მოსკოვის მომავალი სიზღები" ამეკრძალაო, სთქვა მინისტრმა და ამას შემდეგიც დაუმატა: „იქ ისეთი ატმოსფერაა შექმნილი, რომ მოსალოდნელია ერთმა საპროტესტო სიტყვამ ხალხის არეულობა-აღელვება გამოიწვიოს და აქედან არა სასურველი აჯანყება დაიბადოს."

სჩანს, მინისტრს ისიც შეუმჩნევია, რომ დღევანდელი მომენტი არა ნაკლებ ხასიათდება მეორე ტენდენციით, რომელსაც იგი „ყოველგვარ აჯანყებისთვის განმზადებულ ატმოსფერას" უწოდებს. ეს კიდევ უფრო მეტათ საყურადღებოა, ვინაიდან ეს გარემოება [კ]ითხვას გვიყენებს, დღევანდელი შინაური ცხოვრების მსვლელობის, რომელი ტენდენცია უაღრესია, რომელი მიმდინარეობა უფრო ძლიერი და საყურადღებო: „სამშობლოს დაცვის" სურვილი, ომის „ბოლომდე მიყვანა", თუ ყოველგვარ „ექსცესებისაკენ" მიდრეკილება! ეს კითხვა მინისტრმა მხოლოდ დააყენა, იგი მას არ შეხებია და კარგადაც მოიქცა, ვინაიდან ამ კითხვის გადაჭრა-გადაწყვეტა სრულიად ომის შემდეგ მსვლელობაზეა დამოკიდებული და ვის შეუძლია სთქვას, თუ რა სახეს მიიღებს ომის მსვლელობა ახლო მომავალში, საით გადადგამს მტერი ნაბიჯს და როგორ დაუახლოვდება მას „დამხვდური".

მინისტრს შეეძლო მხოლოდ გამოეთქვა თავისი დამოკიდებულება „მემარჯვენეთა სიეზდთან" და გამოსთქვა კიდეც და ეს მით უფრო, რომ მემარჯვენეებმა განაცხადეს თურმე სიეზდზე: ხვოსტოვი ჩვენი აზრისააო.

ამაზე მინისტრმა სთქვა: „მით უკეთესი ეს იმას გვიმტკიცებს, რომ მთავრობა მართლაც მტკიცე, შეურყეველი ძალის პატრონი ყოფილა, ვინაიდან ყოველთვის იქეთ იწრებიან, საითკენაც მეტ ძალას ამჩნევენ. რაც შეეხება თვითონ სიეზდს და მის პროგრამას, ამაზე შედარებით უნდა გიპასუხოთ: ეჭვს გარეშეა ის ფაქტი, რომ მემარჯვენეთა პროგრამა უფრო პრაქტიკულია და ცხოვრების შესაფერი, ვიდრე „პროგრესიულ ბლოკის" პროგრამა. ამის დასამტკიცებლათ საკმაოა გავიხსენოთ ის, რომ მემარჯვენეებმა წინ უპირველესათ ორი მთავარი მუხლი წამოაყენეს: ნემცების ბატონობასთან ბრძოლა და სიძვირის წინააღმდეგ მოქმედება; და აი ეს ორი მთავარი მუხლი პროგრესისტთა ბლოკის პროგრამაში სულ აღარ სჩანს; ამ გარემოებამ მათ მასაზე გავლენა სულ დაკარგა. მემარჯვენეებმა კი ალღო აუღეს ცხოვრებას და გულით მოისდომებული არიან ეს ორი მთავარი მოთხოვნილება განახორციელონ. ის სულ სხვა კითხვაა, თუ როგორ, რა გზით უნდათ განახორციელონ, ან შესძლებენ, თუ ვერა. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ნიჭსა და ენერგიას გამოიჩენენ ისინი ამ ასპარეზზე. მტყობა, მინისტრი მათს ნიჭსა და ენერგიას დიდათ. შეხარის!

მინისტრი ნაციონალურ კითხვასაც შეეხო, მაგრამ იგი [illegible] ბურუსში გახვია და ასე გაურკვეველი დატოვა. ის მხოლოდ კერძოთ პოლონელების და ებრაელების საქმეს შეეხო და თქვა: პოლონელების საკითხი სახელ. დუმამ უნდა გადაწყვიტოს, მარა ახლა კი არა არამედ ომის შემდეგ; ებრაელებთან დამოკიდებულებაში მეც იმავე გზას განვაგრძობ რასაც ჩემი წინა მოადგილე დაადგაო. საერთოდ კი უნდა განვაცხადო, სთქვა მინისტრმა, რომ რომელიმე ადგილობრივ, პროვინციალურ ადმინისტრაციას უფლება არა აქვს სამინისტროს ცირკულიარი თავისებურათ განმარტოს და ცხოვრებაში ისე გაატაროს; ყველგან ის პოლიტიკა უნდა ტარდებოდეს, რომელსაც ცენტრალური მთავრობა ადგია, ამიტომ არც ერთ გუბერნატორს ნება არა აქვს ჩემის პოლიტიკის წინააღმდეგ წავიდეს და ცირკულიარი თავისებურათ განმარტოს; თუ ისეთი რამ მოხდება იგი გაუგებრობის ბრალია და დაუყონებლივ გასწორებული იქნებაო.

მთავრობის საერთო პოლიტიკა მინისტრის სიტყვით არ შეცვლილა: **იგი არც მარჯვნით და მით უმეტეს არც მარცხნით არ გადახრილა.**

ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენლები ხშირათ ჩივიან, ცენზურა გვავიწროვებსო; ამაზე მათ ვეტყოდი: ნუ დაივიწყებთ, რომ ახლა ომიანობის დროა და ომის საიდუმლოების დაცვაა საჭირო!

ერთი სიტყვით მთავრობას თავისი გარკვეული გზა და პოლიტიკა აქვს, იგი მტკიცეთ დგას ამ გზაზე და მღელვარე ცხოვრების ზღვაზე სახელმწიფოებრივი ნავის საჭე მაგრათ უჭირავს ხელში: **საშინელი** ქარიშხალის და შემზარავი ღელვის მიუხედავათ უნდა შეაჩეროს, ნავის სრბოლას, უნდა იქით გააქანებს, საითაც მის უხილავ მბრძანებელს დასჭირდება.

დასასრულ მინისტრი **ამნისტიის** საკითხსაც შეეხო და გულახდილათ აღიარა, რომ დღევანდელ მომენტში ამაზე ლაპარაკი სიბრიყვეაო: **როცა ამნისტიის კი არ თხოულობენ, არამედ მოითხოვენ, მაშინ მისი ბოძება აღარ შეიძლებაო,** განმარტა მინისტრმა.

(„რ. ვ.")

---

# ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ევოლიუცია

## ავტონომიის გარშემო

(წერილი მეორე)

გაგრძელება იხ. „სამშობლოს" № 56, 57, 238, 239, 240

## VI.

ქართველ სოციალ-დემოკრატების აზროვნებისა და პრაქტიკული მოქმედების სპეციფიურ თვისებას შეადგენდა საკუთარ ეროვნულ პიროვნების უარყოფა, ქართულ თვითმართველობის წინააღმდეგ მედგარი და შეუპოვარი ბრძოლა მის მომხრე და ენერგიულათ მცველ სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიასთან. თავდაპირველათ ეს ბრძოლა წმინდა თეორეტიული ხასიათის იყო. ორივე მხარე ცდილობდა გამოენახა თავიანთ დებულებათა დასაყრდნობათ რაიმე მეცნიერული საფუძველი; გაიმართა დაუსრულებელი და თავმომაბეზრებელი წერა და კამათი ეროვნების დამახასიათებელ, ნიშანდობლივ თვისებაზე, მისი წარმოშობის, განვითარებისა და მომავალ ბედიღბლის თაობაზე. მთელი ამ საგულისხმიერო პრინციპიალურ დავა-კამათის მიზეზი იყო ქართული ეროვნული ცხოვრების მოწყობა-მოწესრიგების საკითხი. ჩვენ აქ არ შევუდგებით თითოეულ ამ მოკამათე ჯგუფის მიერ წარმოდგენილი საბუთებისა და არგუმენტაციის ღირსება—ნაკლოვანების დაწვრილებით გათვალისწინებას. ვისაც ამის სურვილი მოუვა შეუძლია მიმართოს ჩვენი ნიჭიერი პუბლიცისტის განსვენებული არჩილ ჯორჯაძის საფუძვლიან წერილებს, რომელშიაც არაჩვეულებრივი მიუდგომლობით არის აღბეჭდილი მოპირდაპირე მიმართულებათა შორის ატეხილი დავის ისტორია, მათ მიერ წამოყენებული არგუმენტები და გამოთქმული მოსაზრებანი.

ჩვენ აქ მხოლოდ ის უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენმა სოციალ-დემოკრატებმა გამოიჩინეს საარაკო მხნეობა და იშვიათი სიჯიუტე და სიმაგრე ქართულ ეროვნების გაბიაბრების საქმეში მის მრავალ-საუკუნიან კულტურულ-ისტორიულ ცხოვრების უარყოფით და სახელის გატეხით და მომავალ ცხოვრების ეროვნულ ელფერს მოკლებულ პერსპექტივის დასახვით. რამ აიძულა ათას ჭირ ვარამ გამოვლილი ერის შვილნი ასე შეუწყნარებლათ და უდიერათ მოჰქცეოდენ თავის მშობელ ქვეყანას, უწყალო ბედის უკუღმა ტრიალის გამო ისედაც დაჩაგვრულს და მიწასთან გასწორებულს? რამ აიღებია ქართველ მარქსისტებს ხმალი ხელში თვის მშობელი ერის გულის გასაგმირავათ მომართული? რატომ უღალატეს მათ ქართველი ერის მოჭირნახულე დიდებულ მამულიშვილთა საშვილიშვილო ანდერძს—მამულის დაცვისათვის და ამაღლებისათვის თავგანწირული შეუპოვარი ბრძოლა მტერთან. ნუ თუ იმდენათ გამოცვლილა და გადასხვაფერებულა ქვეყნიერება, რომ ის, რაც წინათ საქმეში, ყველასათვის სათაყვანებელი იყო, ეხლა საძაგელი, სათრევი და საქილავი გამხდარა? ეგება დღეს, მართლაც, აღარავის აკმაყოფილებდეს „გაცვეთილი პატრიოტიზმი" „სამშობლო" და რეაქციონერობას და ჩამორჩენილობას ნიშნავდეს მისი დაცვა მოსარჩლეობა? მაგრამ მაშინ როგორ უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ ჩვენზე უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ქვეყნის შვილებს უმწვერვალეს ხარისხამდე აქვთ განვითარებული მამულის უანგარო სიყვარულით გამოწვეული წმიდა და კეთილშობილური გრძნობა და სასახელოთ მიაჩნიათ მისთვის ბრძოლა და თავისდადება. რატომ, რატომ მოხდა, დაეჩნებით გვეკითხება დღევანდელი, ეროვნულათ გათვითცნობიერებული, ქართველის შეგნება, რომ ჩვენი მოწინავე ინტელიგენციის პირველი გაბედული გამოსვლა საპრაქტიკო მოქმედების ასპარეზზე ეროვნული იდეალის უარყოფით დაიწყო? ეს კითხვა არც ჩვენი ეროვნების უნიჭიერეს და ერთგულეს მოსარჩლეს, არჩილ ჯორჯაძეს, აძლევდა მოსვენებას: „ჩვენს წინაშე, ამბობს არჩილი, მუდამ ჟამს ატეხილი იქნება ის საიდუმლოებით მოცული გარემოება, რომ ეროვნულათ დევნილი ერი, როგორიცაა ქართველი ერი, თითქმის თავსაც არ იცხელებს და მის შეგნებას არ ეკარება აზრი ეროვნულ უფლებათა დაცვისა."

როგორც არა ერთხელ აღვინიშნავს, ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი მეტათ გაიტაცა დასავლეთ ევროპის ნიადაგზე აღმოცენებულმა სხვა და სხვა სოციალისტურმა თეორიებმა და შეუდგა მის გულმოდგინეთ შესწავლას და გადმონერგვა-გავრცელებას ჩვენს ქვეყანაში. ყველასაგან ცნობილია, რომ სოციალიზმი, პირველათ ყოვლისა, მაშვრალთა თეორია არის; მისი უპირველესი მიზანია საზოგადოების ჩაგრული ნაწილის გათავისუფლება ეკონომიური მონობის მძიმე უღლისაგან; იგი გვასწავლის, რომ კაცობრიობის უმეტესობა, მშრომელი ხალხი, დიდ ნივთიერ და ზნეობრივ გაჭირვებასა და დამცირებას განიცდის ეკონომიურ და პოლიტიკურ პრივილეგიებით აღჭურვილ კლასთა, ან წოდებათა მხრივ. ამ უსამართლო წესწყობილების გაუქმება და მის ნაცვლათ რიგიანი საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობა აუცილებელ საქმეს არ წარმოადგენს; ხოლო ამისათვის საჭიროა მედგარი და თავკამოდებული ბრძოლა არსებულ სოციალურ წყობილებით დაინტერესებულ მშრომელ ხალხის მიერ ბურჟუა-კაპიტალისტთა კლასის წინააღმდეგ და ამიტომ იგი მოუწოდებს ყველა ქვეყნის მუშებს შეერთდენ დღევანდელ საზოგადოებრივი ურთიერთობის დასანგრევათ და სოციალიზმის დასამყარებლათ.

ამნაირია მოკლეთ სოციალისტური დოქტრინის შინაარსი. მარქსის და ენგელსის მიერ შედგენილ, სახელ-განთქმულ კომუნისტურ პარტიის მანიფესტში პირველათ მკაფიოთ და ნათლათ გამოსახული. როგორც ნათქვამიდანა სჩანს, სოციალიზმის მთელი ყურადღება მარტოოდენ სოციალურ კითხვის გადაჭრისაკენ არის მიქცეული, მისი თავი და თავი საზრუნავი საგანი ნივთიერ შევიწროვება-გაჭირვებაში მყოფ საბრალო ხალხის ეკონომიურ-სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება ყოფილა; ჩვენი მარქსისტებიც მარტოოდენ ამ სოციალ-ეკონომიური საკითხებით დაინტერესდენ და მიზნათ მუშათა კლასის, პროლეტარიატის ინტერესების დაცვა დაისახეს. ამიერიდან ყოველ მათგანს პირზე მხოლოდ სიტყვა პროლეტარიატი აკერია; ყველას იგი ახსოვს, ყველა იმაზე სწერს, მსჯელობს და ლაპარაკობს, მისი მოსარჩლეობა მთელი საზოგადოებასა და კაცობრიობის მოსარჩლეობათ მიაჩნიათ. ვინც მათ ამნაირ შეხედულებას არ იზიარებს, ხალხის მტრათ და კაცობრიობის ორგულათ არის აღსარებული. მართალია, ყველა ქვეყნის სოციალისტები ერთმანეთს ეთანხმებიან ამ მათთვის კარდინალურ კითხვის გათვალისწინების საქმეში, მაგრამ, ვგონებ, არსად და არასდროს პროლეტარიატის კულტის თაყვანისცემას არ მიუწევია იმ ზომამდე, როგორც ეს ჩვენში მოხდა. საქმე იქამდი მივიდა, რომ სიტყვა პროლეტარიატი, გაპროლეტარება უზომო ბედნიერებისა და ყოვლად შემძლეობის გამომხატველ ცნებათ გადაიქცა დიდი გავლენის მქონე პარტიის ამყოლი ხალხის თვალში; ხოლო რაც შეეხება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მეტათ მწვავე და უმნიშვნელოვანეს საკითხს, ქართველ ეროვნების დაცვას ათასგვარ უსამართლო და უხეშ ძალადობისაგან—ეს სრულიადაც არ შედიოდა ჩვენი ხალხის კეთილდღეობის მოსურნე სოციალისტურ ინტელიგენციის პროგრამაში. თუ ჩვენი მარქსისტები თავს არ იწუხებდენ სოციალურ უსამართლობის მოსასპობათ ატეხილ საშინელ ბრძოლაში, სამაგიეროთ გაუგებარ და ყოვლად შეუწყნარებელ გულგრილობას იჩენდენ ეროვნულ ჩაგვრა შევიწროვების კითხვაში. საკვირველი და სავალალო აქ სწორეთ ის არის, რომ, როგორც უკვე მოვიხსენიეთ ზევით, განსაკუთრებულ გულმოდგინება და სიბეჯითე, ჩვენმა დასელებმა გამოიჩინეს დროთა მსვლელობის გამო თვის გავერანებულ და გატიალებულ მამულის წარსულ ხანგრძლივ კულტურულ ისტორიულ ცხოვრების გაბიაბრების ცდაში და მისთვის აუცილებელ ეროვნულ-პოლიტიკური ცხოვრების აღდგენის უარყოფაში.

ქართველი სოციალისტების ფართო და გაშლილი ბუნება ვერ თავსდება პატრიოტიზმის ვიწრო ჩარჩოებში „მათი იდეალი, არჩილ ჯორჯაძის სწორი შენიშვნით, საკაცობრიო იდეალი შეიქნა, ისინი ამ იდეალით სცოცხლობენ, ამით საზრდოობენ, ამით იმედოვნებენ. აწმყო მათ გველივით ეზიზღებათ, წარსული ეჯავრებათ, ისინი იცქირებიან ბრწინვალე მომავლისაკენ". აღსანიშნავი აქ ისიც არის, რომ დასელები შეიარაღდენ, მარტოოდენ საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიის შესამუსვრელათ და სრულიადაც არ იყვნენ პოლონეთის, ფინლიანდიის და სხვათა ავტონომიურ წყობილების წინააღმდეგ ამხედრებულნი; ან კი როგორ გაბედავდენ კრინტი დაეძრათ მათ პოლონეთის ან ფინლანდიის ავტონომიის წინააღმდეგ, როცა ამ ქვეყნების ყველა სოციალისტურ პარტიებისათვის საანბანო ჭეშმარიტებას შეადგენდა და თავისთავათ იგულისხმებოდა ერის ნორმალურ ზრდა-ვითარებისათვის საკუთარი პოლიტიკური ცხოვრების საჭიროების აუცილებლობა. იმათ მხოლოდ თავის მშობელი ერი ამოიღეს ნიშანში, მარტო იგი მიიჩნიეს დაბალ ღობეთ, აითვალისწუნეს და არ ჩასთვალეს ავტონომიის ღირსათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქრონიკა

## რ უ ს ე თ ი.

### დოქტორ დუბროვინის საჩივარი.

12 დეკემბერს პეტროგრადის საოლქო სასამართლოს გაზეთ „რუსის დროშის“ რედაქტორის, დოქტორ დუბროვინის საჩივარი უნდა გაერჩია.

დუბროვინი „რუსის ხალხის კავშირის“ ლიდერია და „რუსის დროშა“ კიდევ ამ „კავშირელების“ მთავარ ორგანოთ ითვლება. აი ამ ორგანოს და მის სელმძღვანელს მოსკოვის ლიბერალების გაზეთმა „გოლოს მოსკვიმ“ გერმანოფილობა დასწამა, რისთვისაც რედაქტორმა დუბროვინმა მას სასამართლოში უჩივლა. საქმის გარჩევის დროს სასამართლოში გამოცხადდა მხოლოდ მოპასუხის ვექილი, რომელსაც „გოლოს მოსკვის“ დასაცავათ გაზეთ „რუსის დროშის“ ფურცლებიდან ბევრი ამონაჭრები წამოეღო თან, რომ დუბროვინის გერმანოფილობა ყველასთვის აშკარა გაეხადა; მაგრამ გასამართლება ჩაიშალა. დუბროვინმა სასამართლოში მხოლოდ განცხადება გამოუგზავნა, რომ საჩივარზე ხელს ვიღებო, რის გამოც მოსამართლემ დაადგინა: დუბროვინის საჩივარი გაუქმებულ იქნასო.

## ა მ ი ნ დ ი.

როგორც გაზეთები გვაუწყებენ, პეტროგრადში 10 დეკემბრიდან საშინელი არაჩვეულებრივი ყინვები დაიწყო, ხშირათ 24—30% მძინვარებს თურმე. პეტროგრადის ღარიბი ხალხი უბინობისა და უშეშობის გამო საშინელ გასაჭირშია ჩავარდნილი. ამისთვის გრადონაჩალნიკმა ფიცხელი განკარგულება მოახდინა ყველა უბანში ბოქაულებმა საჩაიები და ტრაქტირები მთელი ღამით ღიათ დასტოვონ, რომ იქ უბინაო ხალხმა გათიოს და ყინვებს როგორმე გადაურჩეს. დიდმა ყინვებმა სიძვირე კიდევ უფრო გააძლიერა და ხალხისთვის იგი აუტანელი გახადა.

# ქართული პრესა.

„სახალხო ფურცლის“ მეპრესე სწერს: განახლებულ „სამშობლო“-ში ბ. „ისარი“ სწერს:

„თუმცა „ფედერალისტები“ ქართველ ერის ისტორიულ უფლებას უარყოფენ და სხ.“

საინტერესო კია აგვიხსნიდეს პატივც. ავტორი, როდის და სად უარყოფდნენ ქართველ ერის ისტორიულ უფლებებს ფედერალისტები? ისარმა კი უნდა იცოდეს, რომ უეჭველ მოხერხებულ შემთხვევაში ფედ—ბი იხსენიებდნენ ქართველ ერის ისტორიულ კულტურას, სახელმწიფოებრივ უფლებას და მთელი ქართველი ერი მიგვაჩნია „ისტორიულ ერად“ მაგრამ ისტორიზმის მიდებას ჩვენ არ მიგვაჩნია რესტავრაციად, ისტორიულ უფლებას ჩვენ განვხორციელებთ ცხოვრების თანამედროვე პირობებში და ისე, რომ ქართველ ერის კეთილდღეობა და პროგრესი უზრუნველყოფილი იქნეს.

ვუპასუხებთ „სახალხო ფურცლის“ ბ. მეპრესეს: ფიცი მწამს, ბოლო კი გვაკვირვებს!.

# ახალი ამბავი.

## ქუთაისი.

შარშან აზ. ნოე იოსელიანმა განცხადება შეიტანა ზედამხედველ კომიტეტში, მსესხებელთა მიერ რწმუნებულათ ამორჩეული ილია მესხი ღირსება ახდილია და უფლება არა აქვს რწმუნებულობისო.

ამაზე ზედამხედ. კომიტეტისა და გამგეობის შეერთებულმა კრებამ თანახმათ იურის კონსულტის დასკვნისა დაადგინა: ილია მესხს ქონების უფლება არა აქვს აყრილი, როგორც მემამულე შეიძლება იყოს მსესხებლათ და როგორც მსესხებელი, რწმუნებულათაცაო. ამის შემდეგ ბ. ნოე იოსელიანმა პირდაპირ ფინანსთა სამინისტროს მიმართა და თან გაუგზავნა პირი ოლქის სასამართლოს განჩინებისა. ფინანსთა სამინისტრომ უკანონოთ სცნო ბანკის გამგეთა დადგენილება და წინადადება მისცა გამოერიცხათ ილია მესხი რწმუნებულთა სიიდან.

✦ შავი ქვის საბჭოს კრება, რომელიც დანიშნული იყო ამ თვის 21 სათვის მეორე დღისათვის გადაიდვა.

✦ დღეს ქალაქის თეატრში ხელ მეორეთ წარმოადგენენ ახალ ისტორიულ პიესას „გიორგი მესამე“-ს. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

✦ პარასკევს საღამოს უნდა შემდგარიყო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებათა კრება, მაგრამ თავჯდომარის დაუსწრებლობისა და სხვა მიზეზებისა გამო კრება აღარ შესდგა.

✦ ხუთშაბათს ქალაქის თეატრში წარმოდგენილმა ჰაუპტმანის „დაძირულმა ზარ“-მა კარგად ჩაიარა. საზოგადოება ბლომათ დაესწრო.

✦ ეპარქიალური სასწავლებლის მოწაფეები საშობაოთ გუშინ დაითხოვეს.

✦ პარასკევს საღამოს კოკისპირულ წვიმასთან ერთად საშინელი ბდღვენა იყო

✦ მზადდება წარმოსადგენათ „მედეა“ „დედოფალი“.

✦ ხვალ ქუთაისის ქართულ გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ, ხვალ, 21 დეკემბერს, გაიმართება საინტერესო ლიტერატურულ—ვოკალური საღამო.

✦ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა მორიგი კრება მოხდება 22 დეკემბერს. განსახილველია ბევრი საყურადღებო საკითხი.

✦ ქუთაისის პირველ უმაღლეს დაწყებით სკოლის მზრუნველმა პატივცემულმა თედორე სიმონის ძე იმედაძემ გამოუგზავნა ამავე სასწავლებლის ღარიბ მოწაფეებს ხუთი თუმანი საშობაო საჩუქრებისათვის. სკოლის პედაგოგიური საბჭო ულრმეს მადლობას სწირავს ბ. იმედაძეს.

✦ ნაახალწლევს მთელ საქართველოში და რუსეთის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქებში დაიწყება ხელის მოწერა გალაქტიონ ტაბიძის ლექსების მეორე ტომზე. ამ წიგნში მოთავსებული იქნება მრავალი ჯერ კიდევ დაუბეჭდავი ლექსები. ერთი წლის წინად დაბეჭდილი პირველი ტომის 3 ათასი ეგზემპლიარი მოკლე ხნის განმავლობაში თითქმის სრულიად გაიყიდა.

## სოფლათ

**სოფ. დიმი.** წვრილი კრედიტის ინსპექტორმა ბ. ჯაფარიძემ რევიზია მოახდინა აქაურ საკრედიტო ბანკში და საქმე კარგად ნაწარმოები ვერ აღმოჩნდა. საზოგადოება ძალიან აღშფოთებულია ამ ამბით. ბანკის გამგეობის თავჯდომარის მღვდ. მიხ. მაჩიტაძის და გამგეობის წევრების ილ. ხარაბაძის და ლ. გეგეშიძის მაგივრათ, ახალ არჩევნების დროს გამგეობის თავჯდომარეთ ასახელებენ სოლომონ კიკნაძეს, წევრებად კი კოსტა კვინიხიძეს და ალექსანდრე ჩიქვინიძეს.

# სასულიერო მართვა-გამგეობა ჩვენში.

## V.

როდესაც რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელნი შეუდგებიან ხოლმე ჩვენში ეკლესიის მართვა-გამგეობას, ისინი პირველ დღესვე გამოსთქვამენ თავისს განცვიფრებას იმის შესახებ, რომ ჩვენი ხალხი ნაკლებათ დადის წირვა-ლოცვაზე. ამ ამბავს ისინი ჩვენში სარწმუნოებრივ სიცხოველის უქონლობას მიაწერენ.

იქნება ფაქტი სწორეთაც იყოს აღნიშნული, მაგრამ მისი ახსნა-განმარტებისა კი რა მოგახსენოთ, სიმართლეს მოკლებულია. უკვე კარგად ცნობილია დღეს, რომ სარწმუნოების სიძლიერის მომასწავებელი მარტო ეკლესიაში სიარული არ არის, მარტო მით არ გაიზომება, რადგანაც ის შეადგენს სარწმუნოების გარეგან მხარეს, უბრალო წესს, ჩვენი ხალხი უფრო ღრმა რწმენისა და შეხედულების პატრონია. ის ეკლესიური წესის იქეთ ხედავს თავისი რწმენის საგანს და სრულებითაც არ იზიარებს იმათ შეხედულებას, რომელთაც ეს წესი გაღმერთებული აქვთ და რომელთა შესახებაც რუსეთის დიდებული მწერალი ნ. ვ. გოგოლი ამბობს, რომ, მათ რო ეს წესი გამოაცალო, ხელში ურწმუნო შეგრჩებაო. ჩვენ ხალხს ათასი რა წესიც გამოაცალო, ის მაინც ღრმა მორწმუნე რჩება და თუ ის დღეს ამ წესს შორდება, ამაში მას წილი არ უდევს.

მთელი თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში ქართველი ხალხი ჯვაროსნული ომს ეწეოდა სწორეთ იმ სარწმუნოებისათვის, რომლის სისუსტესაც დღეს მას სწამებენ. ამ ხნის განმავლობაში ვინ მოსთვლის რამდენ გზის მოუოხრებიათ ჩვენი სამშობლო?! ჩვენი სარწმუნოებისათვის რამდენ გზის მოურწყავთ და გაუპოხიერებიათ მის არე-მარე ჩვენ წინაპართა ძვლებითა და სისხლით ჩვენ მტრებს?! ვგონებ, ერთი მტკაველა ადგილიც არ მოიძებნება ჩვენში, რომ ქართველის სისხლით არ იყოს ნაპკურები რამდენჯერმე! და ეს სულ მართლმადიდებელი სარწმუნოებისათვის, იმ მართლმადიდებლობისათვის, რომელიც მან უმწიკვლოთ და შეურყვნელათ დაიცვა ამ ხნის განმავლობაში, რაიცა იშვიათი მაგალითია ქრისტიანობის ისტორიაში და ის შეუბღალავათ მიიტანა მეთვრამეტე საუკუნის ბოლომდის. აქ მან თავისი სარწმუნოება და თავისი თავიც თვის ერთმორწმუნე ერს შიანდო იმ განზრახვით, რომ ის უფრო გაიტანდა, უფრო დაიდობდა, მაგრამ დღეს მისი მდგომარეობის შედეგი თვით იმ ერის წარმომადგენელთა აკვირვებს და თავისი პირით ამოწმებენ ყოველივე ამას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამის მიზეზს ისინი თვითონ ჩვენშივე ეძებენ.

რუსეთში ყველა ერს ნება აქვს თავისი სარწმუნოების საქმე თვითონ მოაწყოს და აწარმოვოს. ამ უფლებით სარგებლობენ: კათოლიკები, გრიგორიანები, მაჰმადიანები, ებრაელები, და, ასე გასინჯეთ, წარმართნიც კი. მხოლოდ გამონაკლის შევადგენთ ჩვენ—მართლმადიდებელი ქართველები—და მხოლოდ იმისთვის, რომ მართლმადიდებელნი ვართ.

ნათქვამია: ეს ფონი კარგია, მხოლოდ ერთ ადგილს აღრჩობსო. სწორეთ ასეთი ფონი შეიქნა დღეს ჩვენთვის მართლმადიდებლობა. მართლმადიდებლობის საშუალებით ჩვენ ისე გაგვთქვიფეს სახელმწიფოს ძირითად ერში, რომ ჩვენი სახე აღარ სჩანს, დაიკარგა. ასე რომ, როცა, მაგალითად, სომხის ეკლესიისაგან მამულის ჩამორთმევა განიძრახეს, ეს ყველასათვის თვალსაჩინო შეიქნა, ამან ყველას გულის წყრომა გამოიწვია. და, როცა ესევე დღე საქართველოს ეკლესიას დააყენეს, ეს ყველასათვის შეუმჩნეველი დარჩა, არავის პროტესტიც არ გამოუცხადებია, თითქოს, ჩვეულებრივი რამ საქმე მომხდარიყოს. ამისთანა შეუმჩნეველი, მაგრამ ქართველის გულიდგან ამოუშლელი ფაქტები ყოველ-დღე ხდება ჩვენს თვალ წინ.

ამგვარად საქართველოს ეკლესიას და მის სამღვდელოებას მათი მასაზრდოებელი მამულები ხელიდან გამოაცალეს, ეროვნული სამღვდელოება აღარ გვყავს, ეროვნული შკოლა არა გვაქვს, კათედრიდან მშობლიური მზრუნველობით გამთბარი მამა-შვილური სიტყვა აღარ ისმის, ჩვენი ეროვნული გალობა ერთ წერტილზე გაიყინა, ჩვენი ეკლესიები დაცარიელდა, ჩვენი სასულიერო ლიტერატურა გაჰქრა და ეკლესიაში წიგნებიც კი არ მოგვეპოვება და, ასე გასინჯეთ, დედა-ენაზე მეტრიკული წიგნების წარმოების ნებაც კი მოგვესპო. ერთი სიტყვით, ჩვენი ეროვნული სული დაიხშო და მისი მათბუნებელი და გამაღვივებელი საშუალებები მოისპო, აღმოიფხვრა. ჩვენი ერი სხვა ერს შეურიეს, ჩვენი ეკლესია სხვის ეკლესიას და მათ შორის დღეს არავითარ განსხვავებას, არ ხედვენ და არც არის. ასეთი ეროვნული ასიმილიაცია ხდება ჩვენ თვალ წინ მართლმადიდებლობის საშუალებით დღეს ჩვენში და ისიც თითქოს თავის—თავათ, ბუნებრივათ.

ამიტომაც ქართველი ხალხი, ხედავს რა თავის ჩაკლაპვას, თავის მოსპობას ეკლესიის საშუალებით, ინსტიქტიურათ შორდება მას და სხვაგან ეძებს თავისი ვნებული სულის საყუდნელს, თავის საუკუნოების განმავლობაში წამებულ ... ლის სასვენს.

ამგვარათ ქართველი ხალხი დღეს ეკლესიის გარეშე დგება და ძნელია იმისი თქმა, თუ რა მოელის მას, რადგანაც ამის გამოცნობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შეიცვლება მისი ეკლესიის მდგომარეობა, რადგანაც მისი ბედის გადამწყვეტი საკითხი ჯერ სრულიად რუსეთის მომავალ საეკლესიო კრებას აქვს გადაცემული და მერე, წინააღმდეგ შემთხვევაში, სად ამორგავს თავს, ჯერ არავინ იცის.

დე—ზი-

# უცნაური მოწერილობა.

ამ დღეებში ჩხარის სასოფლო სამართველომ ფრიად უცნაური შინაარსის მოწერილობა მიიღო შორაპნის სამაზრო ადმინისტრაციისაგან. მოწერილობის შინაარსი იმდენად ბუნდოვანი და გაუგებელი ენით იყო შეთხზული, რომ, დეტალურად რომელ საკითხს უნდა შეხებოდა იგი, ვერავინ ვერ შესძლო ამის გაგება.

რომ მრავალ-პატივცემული მკითხველი საზოგადოებაც გაეცნოს დაწვრილებით იმავე მოწერილობის შინაარსის გაუგებრობას, მოვიყვან აქვე უცვლელად თვით მოწერილობას:

„Предлагаю Вамъ въ трехъ дневный срокъ представить отдѣльныя приговора частныхъ сельскихъ сходовъ отдѣльныхъ селеній за исключеніемъ,

. . . . . . .

. . . . . . .

о томъ, что желаютъ ли они какого либо измѣненія въ административномъ правленіи, или же оставаться въ прежнемъ видѣ“.

ვინც ოდნავ მაინც ჩაუკვირდება ამ სივრცით პატარა მოწერილობას, იგი უეჭველად დამეთანხმება, რომ შინაარსი მისი ფრიად გაუგებარია და მასთან კიდევ თუ მივიღებთ მხედველობაში, თან დიდს საკითხსაც ეხება. რომ ეს ასეა, ეს ნათლად სჩანს შემდეგი მოქმედებიდან: ამ მოწერილობის ძალით შემდეგნაირად იხელმძღვანელეს ადგილობრივმა მწერალმა და მამასახლისმა: შეკრიბეს ამ თუ იმ სოფლის მცხოვრებლები კერძოდ, ცალცალკე და ეკითხებოდნენ: „გინდათ თუ არა რაიმე ცვლილება შეიტანოთ პოლიციურ სამართველოში (въ правленіи), თუ ისევე ძველებურად გნებავსთ დარჩენაო“... ხალხი გაოცებული იყო და არ იცოდა რა ეთქვა. ბევრმა მათგანმა უთხრა: ჩვენ გვინდა ჩვენში „ერობა“ დამყარდესო და ბევრი კი ამბობდა, ისევე ასე გვსურს დარჩენაო და სხვა... ბევრს კი ეშინოდა „ერობის“ ხსენების და კატეგორიულად ვერ ბედავდა მის მოთხოვას. თურმე ასე ფიქრობდა ბევრი მათგანი: „ერობაა“ თუ რაღაცა რომ მოვითხოვოთ „ახალთაობის“ დაგვწამებს მთავრობა და ყველას დაგვიჭერს და სხვა... ბევრი კი იმას გაიძახოდა: შიდა რუსეთში რომ ერობაა, აი იმნაირი ერობა გვინდა ჩვენც აქ რო დამყარდესო და სხვა...

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, მთელს შორაპნის მაზრაში, ყველგან სათითაოდ დაუგზავნიათ ამგვარივე მოწერილობები, რომელიც საზოგადოების დანაწილებას შეეხება. თუ ეს გამართლდა, რასაც ვეჭვობთ, მაშინ, რაღა თქმა უნდა, თითო საზოგადოება, რაც უნდა პატარა იყოს, ორად გადაიქცევა და ისედაც ულმობელი ბედისაგან ილაჯგაწყვეტილ მშრომელ მასას სოფლად ზედმეტ ბარგათ დააწვებიან სოფლის ზედმეტი მწერალ მამასახლის-მსაჯულები. სრული იმედი გვაქვს შესაფერს ყურადღებას მიაქცევს, ვისაც ჯერ არს, ამ გარემოებას და იმ განაჩენებს, რომლებიც ასეთს ნიადაგზე აღმოცენდნენ, მნიშვნელობა ექნება არა როგორც ერობის შემოღების შესახებ ჩვენში, არამედ როგორც საზოგადოებების დანაწილების მხრივ. ხოლო, თუ ეს მოწერილობები შეეხება ერობის შემოღებას ჩვენში, მაშინ საჭიროა მოწერილობების განმარტება, რომ ხალხმა გაითვალისწინოს ერობის მნიშვნელობა და შესაფერი მომზადებით მიიღოს მონაწილეობა ერობის საკითხის გადაჭრაში, თუ როგორი ერობა უფრო გამოსადეგი იქნება მასთვის.

ი. ძერულისშირელი.

---

დასელების მიერ საქართველოს თვითარსებობის ამგვარმა ყოვლად უსაფუძვლო და უმართებლო უარყოფამ გამოიწვია ბუნებრივი წინააღმდეგობა, რეაქცია ქართველი ინტელიგენციის მეორე ჯგუფის მხრივ, რომელსაც ჯერ კიდევ არ გაეწყვიტა მჭიდრო კავშირი საქართველოს წარსულთან, უარი არ გაეცხადებია თავის სახელოვან და დიდებულ წინაპართა კანონიერ მემკვიდრეობაზე და ღრმად სწამდა თავის მრავალ ტანჯულ ერის აღდგენა და განახლება. სოციალ-დემოკრატების ეროვნულ ნიჰილიზმს ამ ჯგუფმა ნაციონალიზმი დაუპირდაპირა და უშიშრათ, გაბედულათ წამოაყენა საქართველოს ავტონომიის საკითხი. ამ ახალმა საზოგადოებრივმა ჯგუფმა თავისი თავი სოციალისტ-ფედერალისტის სახელით მონათლა და ამით თითქო იმის ჩვენება უნდოდა თავის მოპირდაპირე პოლიტიკურ პარტიისათვის, რომ ის იმაზე ნაკლებ არ ზრუნავს მშრომელი ხალხის ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და სოციალისტურ წყობილების დამყარებაზე, ხოლო ის ამასთან ერთად აღიარებს ყოველ ეროვნებისათვის საკუთარ პოლიტიკურ ცხოვრების, ეროვნული ავტონომიის, აუცილებელ საჭიროებას და მათ ერთი მეორესთან დაახლოვებას ფედერატიული კავშირის მოწყობის საშუალებით, ურომლისოთ ერთნაირათ შეუძლებელია და მოუხერხებელი, როგორც ეროვნებათა შინაური ცხოვრების ნორმალური ვითარება, აგრეთვე მათ შორის კეთილგანწყობილებისა და მშვიდობიან ურთიერთობის დამყარება.

დასელებმა დიდათ იუცხოვეს ფედერალისტების ამგვარი მოურიდებელი გამოსვლა მათ წინააღმდეგ და ჯერ კიდევ კარგათ არ იყვნენ გაცნობილი მათ სოციალურ და ეროვნულ პროგრამის შინაარს, რომ ისინი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ სახელით იყვნენ მონათლული და აღსარებული. იმ დროს პარტიისათვის ამგვარი მიმართულების დაწამება ყოველ უბედურებაზე უფრო საზარელ უბედურებათ ითვლებოდა და რა გასაკვირია, რომ ფედერალისტებმა მთელი თავიანთი ძალღონე და ენერგია მოახმარეს იმის მტკიცებას, რომ ისინი არ არიან ბურჟუაზიის მომხრე და არც ნაციონალისტები ამ სიტყვის „ვიწრო მნიშვნელობით“, რომ იმათაც დასელების მსგავსათ მიზნათ აქვთ დასახული სოციალური ტრანსფორმაცია სოციალისტური წყობილების დამყარების მეოხებით. მაგრამ არავითარმა საბუთმა და დამტკიცებამ, არ იქნა, არა იმოქმედა ძალზე გაბრაზებულ და გაბოროტებულ დასელებზე; რაც დრო გადიოდა, ისინი უფრო მომეტებული გულმოდგინებით ცდილობდენ დაემცირებიათ ფედერალისტების მიერ მოწონებული ავტონომია, სახავდენ რა მას ფეოდალურ-რეაქციონურ და უკეთეს შემთხვევაში-კი ბურჟუაზიულ კონსერვატიულ მოთხოვნილებათ, რომელიც დიდ უბედურებასა და ბოროტებას მოუტანს საზოგადოებას. სოციალისტ-ფედერალისტები კი ყველას წინააღმდეგში არწმუნებდენ და ავტონომიური მართვა-გამგეობის ხასიათის დაწვრილებითი განმარტებით ცდილობდენ ცხად-ეყოთ, რომ იგი სრულიად არ არის დასაგმობი და საგინებელი სახელმწიფოებრივი წყობილება, როგორც ეს მათ მოპირდაპირე პარტიას ჰგონია; პირ-იქით დღევანდელ პირობებში იგი ერთადერთ საუკეთესო და საღი პოლიტიკური ფორმის გამომხატველი არისო.

დრონი გავიდენ; ქართველი საზოგადოება თანდათან დგება ეროვნულ გათვითცნობიერების გზაზე და რწმუნდება, რომ თვითმართველობის გარეშე ატეხილი განგაში და დაუბოლოვებელი დავა ყოვლად საძრახისი და დასაგმობი უგნურება და ულოღინარება და უტიფრობა გახლავთ. დღეს თვით სოციალ-დემოკრატებსაც კარგათ აქვთ შეგნებული თავიანთი შეცდომილება უსამართლო და უმართებულო დევნა-მოქცევის საქმეში და იძულებული არიან იწამონ სი, რასაც, ასე თავგამოდებით სდევნიდენ და ებრძოდენ ამ რამდენიმე წლის განმავლობაში. ჩვენი სოციალ დემოკრატების უმეტესობა დღეს აშკარათ აღიარებს ტერიტორიალურ-ნაციონალურ ავტონომიის საჭიროებას ჩვენი ქვეყნისათვის და ხალხთა შორის სასურველ ურთიერთობის დასამყარებლათ ეროვნებათა ფედერაციის პრინციპის წამოყენება სწადია; ავტონომიისა და ფედერატიული სისტემის სასტიკი მოწინააღმდეგე ჩვენებური მარქსისტები მხურვალე ავტონომისტები და ფედერალისტები ხდებიან ნათქვამიდან თუმცა როგორც სჩანს ძლიერ დაუახლოვდენ ერთმანეთს დასელები და ფედერალისტები, მათ შორის ჩამოვარდნილ განხეთქილების მთავარი საგნის, ეროვნული საკითხის გადაჭრის საქმეში, მაგრამ თითოეული მათგანის მსოფლ-მხედველობა მაინც ძირიანათ განირჩევა ერთი-მეორისაგან, რის გამო ერთობ ძნელი და თითქმის შეუძლებელი ხდება მათი შეთანხმე-და შეულლება. ამის მთავარ მიზეზათ, ჩვენის აზრით, ის უნდა ჩაითვალოს, რომ ჩვენი სოციალ-დემოკრატები, მიუხედავათ იმისა რომ ამ ბოლო დროს ისინი შეუდგენ თავიანთი ქნარის მომართვას ნაციონალურ ჰანგებზე, მაინც კოსმოპოლიტიკური ხასიათის მსოფლ-მხედველობით იყვნენ და არიან გამსჭვალულნი და მხოლოდ ტაკტიკური მოსაზრებით თუ გამოდიან ნაციონალური დროშით ხელში, ხანდახან, დრო გამოშვებით. სოციალისტ-ფედერალისტების raison d'être-ათ, მათი მოქმედება—მოღვაწეობის უპირველეს და უმთავრეს მოტივათ კი ნაციონალიზმის დაცვა-მოსარჩლეობა უნდა ჩაითვალოს, აუცილებლათ.

ა. თორაძე.

(შემდეგი იქნება)

# „ქუთაისის რაბინის წერილის გამო".

ებრაელთა ერთს კონგრესზე მახსოვს, სხვათა შორის, მაკს ნორდაუმ წარმოსთქვა: „საკითხი უმრავლესობით სწყდება, ჭეშმარიტება კი უმცირესობაში რჩებაო. ძალმომრეობა ჭეშმარიტებას ყალბათ აქცევს; სიყალბეს კი სიმართლის ტახტზე დასვამს, თუ რამე ძალა გაქვს მის ბრძოლაში გამოგელევა და თვით საქმისთვის კი აღარაფერი დაგრჩებაო".

ეს დიდიხნის დავიწყებული ძვირფასი სიტყვები მხოლოდ მაშინ გამახსენდა, როცა წავიკითხე რაბინ ელუაშვილის წერილი გაზ. „მეგობარში" № 52, რომელიც ძალ-მომრეობით აბნელებს შავი ფარდით ჩემგან წამოყენებულ „პროგრამას" და სიყალბის წისქვილზე ფქვავს.

„პროგრამა"-ს იგი სარწმუნოების თვალსაზრისით აფასებს და სცნობს სარწმუნოების წინაამდეგათ. 2) იგი ვითომც მომხრეა „სწავლა-განათლების, მხოლოდ ისეთის, რომელიც დამყარებულია სარწმუნოებასა და სამშობლო ენაზე"...

ახლა ვნახოთ რამდენათ მართალია მისი მოსაზრება ან რანაირათ ეწინაამდეგება — თუ მართლა მომხრეა სამშობლო ენის სწავლისა,—ჩემს მიერ წამოყენებული პროგრამა. მე მგონია, ჩვენი სარწმუნოება შესდგება არა მარტო მოსეს ბიბლიიდან, არამედ თალმუდ ფოსკიმიდან. სად სწავლობენ ფართოდ მაგეებს?

იწყებენ თალმუდს თორებში და ფართოდ სწავლობენ იეშიბაებში. რას ამბობს ჩემი პროგრამა? „დაარსდეს თალმუდ-თორაები პროვინციებში და უმაღლესი (სასწავლებელი) „იეშიბა" ქ. ქუთაისში". აბა, ბ-ნნო მკითხველნო, კარგათ დაუკვირდით, სარწმუნოების სწავლა, მისი მტკიცეთ შეგნება გვქონია ჩვენ განზრახული, თუ მისი შერყევა! და მაინც ბ. ელუაშვილი თავის ძალმომრეობით მათვისებს სარწმუნოების წინააღმდეგობას და თვით რომ წინ აღუდგა კრებას და დაშალა, რათა არ მოწყობილიყო ზემოხსენებული სასწავლებლები და სარწმუნოების „სიძლიერე"—თალმუდი არ გავრცელებულიყო ეხვევა სარწმუნოების ფარდაში და ჯდება სიმართლის ტახტზე. და თუ იგი მომხრე იმნაირ სასწავლებლების, სადაც სწავლობენ მტკიცე სარწმუნოებას და სამშობლო ენას, ე. ი. ქართულს (რადგანაც ჩვენი სამშობლო ენა ქართულია), მეც მაგას მოვითხოვ (და ჩვენი პროგრამაც ეგ არის), მხოლოდ მივუმატეთ ხელობის გავრცელება ებრაელებში, და მაშ რითი ვყოფილვართ დაშორებული, თუ ბ. ქუთაისის რაბინი გულწრფელათ ლაპარაკობს? და რომ ჩვენ—მართლაც ზემო ნათქვამის მომხრე ვართ, ამას საქმითაც დავუმტკიცებთ პატივცემულ მკითხველებს.

1903 წელს წილათ მხვდა დ. ონში რაბინობა. პირველათვე მივხვდი, რომ ხალხში აუცილებელი საჭიროება იყო სარწმუნოების მხრით თალმუდის გავრცელება, ნივთიერ გაუმჯობესობისათვის კი ხელობის და წ.-კ. გავრცელება. 1904 წელს ქ. პეტროგრადში „ОБЩЕСТ-ВО О. П. Е."—თავის ერთ კრებაზე მიმიწვია. ვისარგებლე ამ შემთხვევით და წავიღე მთელი ცნობები და საკმარისი მასალაც. განვიზრახე მათგან მომეთხოვნა —გაეხსნათ ზემოხსენებული სასწავლებლები ქ. ებრაელთათვისაც. ყველაზე წინ ქუთაისში ბ-ნ ელუაშვილს გავუზიარე ჩემი განზრახვები და ვსთხოვე მიეღო უმთავრესი მონაწილეობა. მაგრამ სიცილის კილოთი მითხრა: „იეშიბა ჩვენში ოცნებობაა და არც არავითარ მონაწილეობას მივიღებო". როცა პეტროგრადიდან დავბრუნდი თან მოვიყვანე უმაღლესი ნასწავლი მასწავლებელი ბ. ჰენკინი და დავაარსეთ დასაწყისი იეშიბა ონში. სამწუხაროთ, დ. ონი გეოგრაფიულ მდგომარეობის გამო უვარგისი გამოდგა და მოწაფეები სხვა დაბა ქალაქებიდან, გარდა საჩხერე, ლაილაშ, თფილის, ბათომიდან არ მოსულან, ამას დაერთო ნივთიერი კრიზისი 1905—1906 წლებში მომხდარ პაგრომების გამო, პეტროგრადის კომიტეტმა აღთქმულ ფულზე უარი გვითხრა, მაგრამ ოთხი წელიწადი თავგამოდებით ვაწარმოვეთ ეს სასწავლებელი. პირველი ხმა თალმუდისა ბავშებში ონში გაისმა. ელუაშვილმა რომ შეხედა საქმე „ფანტაზიობა" აღარ არის, ვეღარ მოისვენა და თავისი „ბევრი რამეს დაპირებით" იეშიბა დ. კულაშში გადაიტანა (ყოველ შემთხვევაში არა ქუთაისში). ცოტა ხანს შემდეგ მასწავლებელი სამარცხვინო დაბეზღებით განდევნილ იქნა...

1910 წლიდან კი მოვაწყეთ დ. ონში ისეთი სასწავლებელი, სადაც სწავლობ და 120 ყმაწვილი რუსულ-ქართულსა და ებრაულს, ასწავლიან 6—5 აქაური მასწავლებელი და ერთი რუსეთელი ებრაელი; რუსულ-ქართულს ორი კაი გამოჩენილი მასწავლებელი. დღემდი 180 კომლ ებრაელში წერა უბრალოთ იცოდენ მხოლოდ 40-მა კაცმა. ახლა კი ნახეთ მოზარდი ყმაწვილები როგორ სწერენ ქართულად და კითხულობენ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, ეცნობიან მის მწერლებს, უკავშირდებიან მის ჭირსა და ლხინს. დიახ, ასე სწავლობენ თავიანთ ძვირფას თალმუდს, სწავლობენ აგრეთვე სამშობლო ენას; რომ ეს ასეა დაამოწმებენ არა თუ მარტო ონელი ებრაელობა, ქართველები და მათი სამღვდელოება, თავად-აზნაურობა და მოხელეებიც. აბა რაღა სათქმელი აქვს ბ ნ რაბინ ელუაშვილს, რომ კრება მოხდეს და მისგან მოწონებული „სასწავლებლები, რომლებიც იქნებიან მტკიცეთ დამყარებული სარწმუნოებასა და სამშობლო ენაზე" იქნენ დაარსებული ყველა დაბასა და ქ. ქუთაისში.

რაც შეეხება იმას, რომ დღევანდელი ჩვენი პოლიტიკური თვალსაზრისით იგი უნდა იყოს წინააღმდეგი, ესეც უბრალო მიზეზია. წაიკითხოს ებრაული გაზეთი და გაიგოს, რომ თვეში ერთხელ ხდება კრება ებრაელ რაბინებისა და მოღვაწე პირების ხან მოსკოვში რაბინ მაზოს თავჯდომარეობით, ხან კიევში და ხან პეტროგრადში. შრომობენ, მუშაობენ, თვალს ძილს არ აძლევენ, ტანს მოსვენებას და ისე უძებნიან წამალს ჩვენ საშინლათ დაზარალებულ ძმებს, ეკონომიურათ და სულიერათ, ცდილობენ მშიერებს პური აჭამონ, ტიტვლებს ჩააცვან, მაგრამ, მიუხედავათ ტრაღიკული გაჭირვებისა, მაინც არ ივიწყებენ ჩვენს მოზარდ შვილებს და ცძებენ ადგილს აღადგინონ სლობოდკა, ტელზ ლიდა, რუდინ, ვალოზინ, სლონიმის და სხ. სასწავლებლები. თვალებზე ცრემლი მომდის, როცა ვკითხულობ: ირკუტსკში გადასახლებულმა ებრაელობამ დეპუტაცია გააგზავნა და მოსკოვში უკანასკნელად მომხდარ კრებას სთხოვა ლიდის „იეშიბა" ჩვენში გადმოიტანეთ, რომლის შესანახ ხარჯსაც ჩვენ ვიკისრებთ, კარვებში დავდგებით და მოწაფეებს კი შევინახავთო... და თუ ამას სჩადიან ირკუტსკში გადასახლებულნი ჩვენი ძმები, ჩვენ ქართველ ებრაელებს რაღა დაგვემართა, რომ ასეთი სასწავლებლები ვერ დავიარსოთ, მით უმეტეს, რომ ნივთიერი მხარე ხელს გვიწყობს და არც ისე ვართ აწიოკებული, როგორც სხვაგან მცხოვრები ჩვენი ძმები. რა დაგვემართნია, რომ არც მშვიდობიანობისა და არც გაჭირვების დროს არ იქნა ჩვენი გამოღვიძება?

**დ. ბაბზთვი.**

(დასასრული ხვალ)

# დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** 16 დეკემბერი. საღამოს ოფიციალური ცნობა. ბელგიაში და არტუაში ორივე მოპირდაპირის არტილერია მხნედ მოქმედობდა. მდ. ენის ჩრდილოეთით გერმანელებს დავუნგრიეთ ტყვიის მტყორცნელის საფარი და მომუშავენი გავფანტეთ. ვოგეზში არტილერიის ძლიერი სროლა იყო, მეტადრე გარტმანსვეილერკოფის რაიონში. მიუხედავად გერმანელების მკაცრი იერიშისა, კიდევ რამდენიმე თხრილი წავართვით ფეფელოზენის და გირპშტეინის შუა. დავატყვევეთ 300 გერმანელი. ტყვეების საერთო რიცხვი აქ მომხდარ ოპერაციებში 1668 კაცს უდრის.

**კოპენჰაგენი.** 15 დეკემბერი. „ბერლინგსკე ცნდე" დეპეშით იუწყება, შვეიცარიიდან მიღებულ ცნობებით, გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი სერიოზულად ავად გამხდარა და ყელის ოპერაცია უნდა გაუკეთონ. ერთი თვე მაინც ლოგინში უნდა იწვეს.

**ჰავრი.** 16 დეკემბერი. ბელგიელების ცნობა. დიქსმიუნდეს ჩრდილოეთით და სამხრეთით ჩვენი არტილერიის სროლას კარგი შედეგი მოჰყვა. ვოუმენის კოშკთან და ლიუგენის მახლობლად დავანგრიეთ გერმანელების თხრილების პარაპეტები (თხრილებში ჩასასვლელები).

**ბალკანეთის ასპარეზი.**

**ცეტინიე.** 16 დეკემბერი. „პრესბიუროს ცნობა. 14 დეკემბერს მოპირდაპირემ დაუშინა ყუმბარები ჩვენს პოზიციებს მდ. ტარას ნაპირით და მკაცრი იერიში მოიტანა ლიუბოვიის მახლობლად, მაგრამ დიდის ზარალით უკან დავახევინეთ. ლოვჩენს ბრძოლის პირით ავსტრიელების არტილერიამ და მათმა გემებმა ყუმბარები დაუშინეს რასკოვის მთას, მაგრამ პოზიცია შევინარჩუნეთ. 15 საათის განმავლობაში 2000 ყუმბარა გადმოისროლეს და იმავე დროს ქვეითა ჯარმა იერიში მოიტანა, მაგრამ უკუქცეულ იქნენ. მხოლოდ ორი კაცი დაგვიჭრეს. ლეპინაცთან გამარჯვება უფრო სრული იყო, ვიდრე წინად იტყობინებოდნენ. ავსტრიელების ზარალი 2000 მოკლული და დაჭრილია. მეფე ნიკოლოზმა მიულოცა გამარჯვება გენერალ ვასოევიჩს.

**ათინა.** 16 დეკემბერი. კუნძულ კორფუდან მოსულ ცნობით, სერბიის მეფე პეტრე ელბასანიდან ტირანაში გადასულა.

სერბიის გენერალ სტეფანოვის 80,000 არმიიდან 54,000 ბალკანეთის ნაპირას მოვიდა, კარგად მოწყობილი და შეიარაღებული.

**ინგლისში.**

**ლონდონი.** 16 დეკემბერი. „ვესტმინისტერ გაზეთი" ეხება მთავრობის გადაწყვეტილებას იძულებითი ჯარის კაცთა მოგროვების შესახებ: „ეს განკარგულება კაბინეთის კრიზისს არ გამოიწვევს საერთო არჩევნების დროს. იგი მხოლოდ მცირე ოპოზიციას გამოიწვევს, რომელიც ბოლოს იძულებული იქნება დაემორჩილოს.

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ. რედაქტორო!**

გაზეთ „მეგობრის"-ის 60 ნომერში მოთავსებული იყო ცნობა შესახებ იმისა, ვითომ ჩვენ ათ ამ თვეს 400 ფუთი გადამალული შაქარი ამოგვიჩინეს. ეს ცნობა მტკნარი სიცრუე და თავხედური ცილის წამება არის და მის ავტორს ჩვენ უფრო კანონიერი გზით მოვთხოვთ პასუხს, მანამდე კი ამის შესახებ უნდა გავაცხადოთ შემდეგი:

ქუთაისში შაქარი, ეგრედ წოდებული „მაშინისა" და თავისა პირველ ამ თვეს არ იშოვებოდა და ჩვენ გვქონდა მხოლოდ სილა შაქარი და მისი გაყიდვა დავიწყეთ ამ დღიდან და 16 ამთვემდე ყოველდღე ხუთასიდგან ათას ორასს, ხან კიდევ მეტს ქუთაისის მცხოვრებს მიჰქონდა იგი, თითოს სამი, ხუთი და ათი გირვანქა, მიჰქონდა იგი აგრეთვე სხვა და სხვა სასწავლებელსა და დაწესებულებებს: წმინდა ნინოს საქალებო სასწავლებელს, სამეურნეო შკოლას, ქალაქის საავათმყოფოს, ქუთაისის საგუბერნიო ციხეს, სამხედრო უწყებასა და სხვა.

რვა ამ თვეს ქალაქის თავმა ბ-მა ი. მ. ჩიქოვანმა მიგვიხმო ქუთათური ვაჭრები და შაქრის შესახებ საუბრის დროს ჩვენ განვუცხადეთ, რომ გვაქ შაქრის სილა ერთი კვირის საკმარისი, ამ დროს იქ ბძანდებოდა ქალაქის წევრი ბ-ნი მოსიძე და ხმოსანი მომრიგებელი მოსამართლე, ბ-ნი მგალობლიშვილი. გარდა ამისა ჩვენ სავაჭროში იყო ქუთაისის პოლიცმეისტერი და იმასაც ისევე განუცხადეთ, რაც ბ-ნ ქალაქის თავს. დასახელებულ დღეს, ესე იგი იმ დღეს, როცა ჩვენ ვითომ გადამალული შაქარი ამოგვიჩინეს, ქუთაისის ათას ხუთასმა მცხოვრებმა წაიღო შაქარი და მის გაყიდვაში პოლიცია გვეხმარებოდა. ამის შემდეგ შეიძლება კაცმა გადამალულ შაქრის შესახებ ილაპარაკოს? ან შეიძლება იმის აღმოჩენა, რის შესახებაც ჩვენ უკვე გვქონდა განცხადება? ამიტომ ვიმეორებთ „მეგობრის ცნობა მტკნარი სიცრუე და ცილის წამება არის, და გამოწვეულია იმ მიზნით, რომ ჩვენ სავაჭროს ჩირქი მოსცხოს და ჩვენ კიდევ საზოგადოების თვალში დაგვამციროს.

ზემოთ ნათქვამიდან მკითხველი საზოგადოება თვითონ დასდებს მსჯავრს, თუ რამდენათ შეესაბამება სინამდვილესა და ჭეშმარიტებას ზემო მოყვანილი ცნობა ჩვენ შესახებ. პატივცემულ „მეგობრი"-ს რედაქციას კი ვსთხოვთ დაგვისახელოს ის წყარო საიდანაც ზემო აღნიშნული ცნობა იყო მოთავსებული, დაგვისახელოს აგრეთვე მისი ავტორი, რადგანაც მას ცილისწამებისა გამო სასამართლოს საშუალებით უნდა პასუხი მოვსთხოვოთ.*)

პატივისცემით ტ. ბასილაძე და პ. გოლასონია.

*) ეს წერილი პატივცემულმა „მეგობრის" რედაქციამ არ დაგვიბეჭდა, მიზეზი არვიცით. ვთხოვთ პატივცემულ „თანამედროვე აზრის" რედაქციას ეს წერილი გადაბეჭდოს, რადგანაც ზემო აღნიშნული ცნობა ჩვენ შესახებ იქაც იყო მოთავსებული.

ავტორები.

# სია

იმ პირთა, რომელთაც ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების გამგეობას შემოსწირე სხვა და სხვა ნივთი 12 იანვრის საღამოსთვის.

გალუსტოვმა 4 კალენდარი და 3 პორტმონე 2 მან. 20 კ. სიმონ რეხაძემ ქმალის საჩაიე და დოქი 1 მან. 86 კ. ძმ. თევქართველმა ფულად 2 მან. ფალიევისამ 2 საპონი და კბილის ჩოთქი 80 კ. ვინერმა ჩოთქი 1 მან. 20 კ. ლუარსაბ კაპანაძემ ჩაი 90 კ. სერგეტნიკმა ოდეკოლონი და საპუდრე 3 მან. 80 კ. ივანე გოგიელოვმა კალენდარი 50 კ. პავლე გასპაროვმა საფერფლე 1 მან. 40 კ. მინასტე ნარსიამ 2 ბოთლი ღვინო და ფულად 2 მან. 4 მან. ზილბერფარბმა „დუხი" და საპონი 1 მან. 20 კ. [illegible] შენგელიამ და ბალახიშვილმა [illegible] დანა 1 მან. 5[illegible] ბოთლი ღვინო 1 მან. 60 კ. გაბრიელ ფაჩხაძემ „ფერი" და საპნე 3 მან. 25 კ. მაქსიმე მანაგაძემ აბგა 2 მან. საბა ცინაძემ маслянка 2 მან. ლევი ჩიკვაშვილმა ჩაის ჭურჭელ. საწმენდი ტილო 2 მან. აბრამ ისაიასძემ თავდიდიშვილმა 2 შარფი 1 მან. 50 კ. აარონ ელიგულაშვილმა ორი პაკეს საბანი და სტოლსაფარი 15 მან. ძმ. იაკობაშვილებმა 6 სალფეთქი და 3 ქალის ზედატანი 6 მან. ილარიონ ხაზარაძემ ფულად 3 მან. ილია ჩიკვაშვილმა 2 ნაჭერი ჩითი 75 კ. იოსებ ხანანაშვილმა 4 არშინი ჩითი 1 მან. იოსებ ილიასძემ კაპელტელაშვილმა 2 შარფი და თავსაფარი 5 მან. 20 კ. იოსებ ბუზიაშვილმა თავსაფარი 50 კ. აარონ ფიჩხაძემ 4 პირსახოცი 2 მან. 40 კ. მოშიკო თავდიდიშვილმა 8 არშინი ბატისტი 1 მან. 44 კ. მეთოდე ხმალაძემ ფულად 1 მან. გრიგოლ გალუსტოვმა ქაღამანი 95 კ. გაგულაშვილმა ჩითი 1 მან.

(შემდეგი იქნება).

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე**


## ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

**მიღებულია დიდძალი**

# საპნის გასაკეთებელი „სოდა"

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

წელიწ. 6 **გამოიწერეთ 1916 წლისათვის** წელიწ. 6

საკოოპერაციო, სამეცნიერო, საზოგადო საეკონომიო ჟურნალი

# „კოოპერაცია"

**„კოოპერაცია"** უნდა გამოიწეროს ყველამ, ვისაც კი აინტერესებს საკოოპერაციო მოძრაობის ისტორია, თეორია და პრაქტიკა და ამ მოძრაობასთან დაკავშირებული საკითხები,—ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და გონებრივი აღორძინება.

ჟურნალი გამოდის კოლეგიურ რედაქციით და ცნობილ ძალთა თანამშრომლობით. რედაქციას ყავს საკუთარი კორესპონდენტები რუსეთისა და საზღვარგარეთის ცენტრებში.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ: 1) ჟურნალ „კოოპერაციის" სახელმძღვანელო გამოცემის 24 №-ს (384—480 გვ.); 2) სახალხო გამოცემის 32 №-ს; 3) „საკოოპერაციო ბიბლიოთეკის" მეორე სერიას, რომელიც შესდგება გამოჩენილ კოოპერატორ—პროფესორის **შარლ ჟიდის რჩეულ ლექციებისაგან** (ახალ ხელის მომწერთ მეორე სერიის სამაგიეროთ შესაძლოა დაუყოვნებლივ გაეგზავნოს უკვე გამოსული პირველი სერიის 8 ბროშურა) და 4) „საკოოპერაციო კრებულის" 4 წიგნს (400 გვერ.), ცნობილ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა სპეციალურ წერილებით.

1916 წლის ხელის მომწერნი, რომელნიც წლიურ ფასს წარმოადგენენ 1915 წლის დამლევამდე, საჩუქრათ მიიღებენ ჰ. ლენსკის წიგნს (ი. გ.—აიას მიერ თარგმნილს): **ევროპის „კოოპერატივებში".**

წლიური ფასი 5 მ. საკრედიტო, მომხმარებელ, სამეურნეო და სხვა კოოპერატივების წევრებს ფულის გადახდა შეუძლია ნაწილ-ნაწილათ.

რედაქცია მოთავსებულია თბილისის ქუჩაზე, ვლ. წერეთლის სახლებში (3-მე სართულში). წერილისა და ფულის გამოსაგზავნი ადრესი:

Кутаисъ, редакція журнала „Кооперація".

# სიფილისი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებული საშუალებების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ. სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარ შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

**პრეპარატი ექ. დე-ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გულსა და შხამს, რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების მხედველობის და სმენის სისუსტეს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხერხემლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. სიფარშივის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის" განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში. ფასი ერთი კოლოფისა 5 მან. წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.** (წლიური)


[illegible] სტამბა ალ. კობრიძისა—ქუთაისში

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან